ავტორი:

ლევან
ახვლედიანი

ინდუიზმი

წარმოგიდგენთ რესურსების ციკლს, რომლებიც მსოფლიო რელიგიების მიმოხილვას ეხება. ყველასათვის ნათელია, თუ რა გავლენას ახდენდა და ახდენს რელიგია საზოგადოების განვითარებაზე. ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია სხვადასხვა ეპოქასა თუ რეგიონში მოქმედი რელიგიების განხილვა. მითუმეტეს, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში ამ თემების შესწავლას ძალიან მცირე ადგილი ეთმობა და ძირითადად განხილულია (მცირე დოზით) ე.წ. აბრაამისტული რელიგიები, კერძოდ, ქრისტიანობა და ისლამი. ჩვენ მიერ წარმოდგენილია რამდენიმე რელიგია. განვიხილავთ, მაზდიანობას, კონფუციანობას, დაოსიზმს, ინდუიზმსა, სინტოიზმსა და სხვა. ეს რელიგიები წარმოდგენილი იქნება ცალ-ცალკე. თითოეულ მათგანს ახლავს შეკითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს გაუადვილებს ამ რელიგიების შესწავლას.

ინდუიზმი ინდოეთის უძველესი ეროვნული რელიგიაა. მეცნიერები თვლიან, რომ მისი ძირები ჯერ კიდევ ჰარაპულ (დრავიდები)[1] ცივილიზაციაში უნდა ვეძებოთ. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ეს რელიგია უძველესია მსოფლიოს სხვა რელიგიებს შორის.

დღეს ინდოეთში მოსახლეობის 90% ინდუისტია. ამ რელიგიას აღიარებენ ნეპალში, ნაწილობრივ ბანგლადეშსა და კუნძულ ბალიზე. ასევე, კუნძულ შრი-ლანკაზე, პაკისტანში, მალაიზიაში, სინგაპურში, მავრიკიაში, ფიჯიზე და სხვა. მისი მიმდევრები გვხდებიან როგორც ამერიკაში, ასევე ევროპაში. ამგვარად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მიმდევართა რაოდენობის მხრივ ინდუიზმი ქრისტიანობისა და ისლამის შემდეგ მესამე რელიგიაა.

სიტყვა „ინდუიზმი“ გულისხმობს მთელ კომპლექსს რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემებისა, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ რელიგიის მიმდევართა ცხოვრების წესსა და პრინციპებს, ეთიკურ ნორმებს, რელიგიურ წეს-ჩვეულებებსა და საკულტო სისტემას.

განსხვავებით მრავალი სხვა რელიგიისგან, ინდუიზმს არ ჰყავს დამაარსებელი და ამიტომ, მას არ გააჩნია ერთიანი რელიგიური და დოქტრინალური სისტემა. ის წარმოადგენს სხვადასხვა რელიგიური ტრადიციისა და ფილოსოფიური მსოფლმხედველობის სინთეზს, რომელშიც იკვეთება ერთდროულად მონოთეისტური, პოლითეისტური და პანთეისტური სისტემები.

ტერმინი „ინდუიზმი“ სიტყვა „ჰინდუსგან“ წარმოიშვა. ასე მოიხსენიებდნენ ძველი ირანელები იმ მოსახლეობას, რომელიც მდინარე ინდის აღმოსავლეთით ცხოვრობდა. სწორედ, ამ გზით დამკვიდრდა ევროპულ ენებში როგორც სიტყვა „ინდოელი“ („ინდუსი“), ასევე „ინდუიზმი“. საკუთრივ სანსკრიტზე[2] ინდუიზმს „სანატანა - დჰარმა“ ჰქვია, რაც „მარადიულ რწმენას“, „მარადიულ გზას“, „მარადიულ კანონს“ ნიშნავს.

---

[1] ჰარაპული ცივილიზაცია - ძველი აღმოსავლური ცივილიზაციაა, რომელიც მდ. ინდის ხეობაში წარმოიშვა. ეს ცივილიზაცია დაახლოებით ძვ.წ III ათასწ. მეორე ნახევრიდან - II ათასწ. ბოლომდე არსებობდა. ჰარაპელები დრავიდული ენების ოჯახს განეკუთვნებიან.

[2] სანსკრიტი -ძველი ინდური სამწერლობო და რელიგიური ენა. მიეკუთვნება ინდოევროპულ ენებს.

განვითარების თვალსაზრისით, ინდუიზმმა ხანგრძლივი პერიოდი განვლო, რომელიც რამდენიმე ათასწლეულს ითვლის. მის პირველ ეტაპად შეიძლება ჩავთვალოთ ვედური რელიგია, რომელიც საბოლოოდ ძვ.წ. II ათასწლეულში ჩამოყალიბდა.

ამ რელიგიაში ცენტრალური ადგილი მსხვერპლშეწირვას უკავია. თვით ღმერთებიც კი მსხვერპლთან შედარებით მეორე პლანზე ინაცვლებენ, რადგან საკუთარი ძალა და ძლევამოსილება ღვთაებებს სწორედ მსხვერპლის შეწირვის შედეგად უჩნდებათ. მსხვერპლის შეთავაზების შემდეგ ადამიანს უფლება ჰქონდა მისი ვედრების დაკმაყოფილება მოეთხოვა. საინტერესოა, რომ ლოცვებშიც კი მლოცველთა მხრიდან მადლობის გამომხატველი სიტყვები არ გვხვდება.

ძვ.წ. I ათასწლეულში მთავრდება ინდური სახელმწიფოსა და საზოგადოების სტრუქტურის ჩამოყალიბება. ინდუიზმის განვითარებაში იწყება მეორე ეტაპი, რომელიც ბრაჰმანიზმის სახელითაა ცნობილი. ამ რელიგიის უმაღლესს ღვთაებად ბრაჰმა გვევლინება.

ადრეულ პერიოდში ბრაჰმანიზმის საფუძველს ისევ მსხვერპლშეწირვის კულტი წარმოადგენს, თუმცა ნელ-ნელა მასში ვითარდება იდეა სანსარას, კარმასა და მოკშას შესახებ, რომლებზეც მოგვიანებით გვექნება საუბარი. ამ იდეების დასაბუთება მოცემულია უპანიშადებში, რომლშიც ვედების კომენტარებია მოცემული და

რომლიც ამ ეპოქის მთავარ რელიგიურ-ფილოსოფიურ კრებულს წარმოადგენს.

ამავე პერიოდში იქმნება ე.წ. „მანუს კანონები“ („მანავადჰარმაშასტრა“), რომელიც განსაზღვრავდა თითოეული ინდივიდის ცხოვრების წესებს, საზოგადოებრივ წესრიგსა და რელიგიური რიტუალების შესრულების ნორმებს. ამ კანონებს უწოდებდნენ დჰარმას, რაც ინდურად „კანონს“, „ვალდებულებას“ ნიშნავს.

სწორედ „მანუს კანონებმა“ დაყვეს ინდური საზოგადოება ოთხ ვარნად (პორტ. კასტა), რომლის მიხედვითაც ყველაზე მაღალი და პატივსაცემი სასულიერო პირების - ბრაჰმანების ვარნა იყო. მეორე, ასევე მაღალ ვარნას წარმოადგენდა ქშატრიების - მეომრების ვარნა. სწორედ მათგან ყალიბდებოდა ინდური არისტოკრატია. გლეხები, ხელოსნები და ვაჭრები ერთიანდებოდნენ მესამე ვარნაში, რომელსაც ვაიშიები ეწოდებოდა. უმდაბლესს ვარნას შუდრები მიეკუთვნებოდნენ, რაც მსახურს ან მონას ნიშნავს. განსაკუთრებულ კატეგორიას „მიუკარებლები“ წარმოადგენდნენ, რომლებიც საზოგადოების ყველაზე უუფლებო წევრები იყვნენ და რომლებიც არცერთ ვარნაში არ ერთიანდებოდნენ. ურთიერთობა ვარნებს შორის „სამი აკრძალვით“ რეგულირდებოდა: არ შეიძლებოდა ერთობლივი ტრაპეზი, ერთობლივი ლოცვა და ერთობლივი ქორწინება.

ძვ.წ VI – V საუკუნეში ბუდიზმისა და ჯაინიზმის გავრცელებასთან ერთად იწყება ბრაჰმანიზმის დაღმასვლა და საკუთარი პოზიციების დათმობა. ამ კრიზისის გადასალახავად დაიწყო ახალი გზების ძიება და ბრაჰმანიზმის რეფორმირება. ასე იწყება ახალი და ბოლო ეტაპი ამ მოძღვრების განვითარებისა, რომელსაც პირობითად ინდუიზმს უწოდებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ გაკვრით უკვე შევეხეთ ინდუისტურ ლიტერატურას, საჭიროდ მიგვაჩნია უფრო დეტალურად შევჩერდეთ ამ საკითხზე.

ვედიზმის ძირითადი პრინციპები წარმოდგენილია „ვედებში“, რომლებიც მსოფლიოს უძველესს რელიგიურ წერილობით ძეგლებად გვევლინებიან და რომლებიც უმრავლესობა ინდოელისთვის წმინდად ითვლებიან. „ვედები“ ოთხ ნაწილად იყოფა: „რიგვედა“ - უძველესი ჰიმნების კრებული, რომელიც სამყაროს გაჩენისა და ღმერთების შესახებ ლეგენდებს მოგვითხრობს; „სამავედა“ და „იაჯურვედა“ - ლოცვებისა და რიტუალების კრებული და „ატჰარვავედა“, რომელშიც გადმოცემულია მაგიური შელოცვები და გალობები. მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ პირველი ორი წიგნი ადამიანისა და ღმერთის შესახებ „წმინდა ცოდნას“ გადმოსცემს, „იაჯურვედა“ რიტუალებს ეძღვნება, ხოლო „ატჰარვავედა“ მაგიის შესახებ მოგვითხრობს.

„ვედებში“ ნახსენებია ათეულობით ღვთაება, მაგრამ განსაკუთრებული ადგილი ინდრას - ელვისა და მეხის ღმერთს უკავია. ყველა ვედური ღმერთი ორ კატეგორიად იყოფა - დევებად და ასურებად. საწყისს ეტაპზე მათ შორის განსხვავება არ არის საგრძნობი, მაგრამ მოყვიანებით „ატჰარვავედაში“ ასურებად მოიაზრებიან მხოლოდ ბოროტი დემონები, რომლებთანაც განუწყვეტელი ბრძოლა აქვთ დევებს. ამ ბრძოლას სათავეში უდგას ინდრა, რომელიც სიკეთისა და სინათლის ძალებს განასახიერებს. ტრადიციის მიხედვით, „ვედების სიბრძნე“ თვით ღმერთ ბრაჰმასგან მომდინარეობს.

მოგვიანებით შეიქმნა „ბრაჰმანები“ (ძვ.წ VIII – VI საუკუნეები) - ტექსტები, რომლებიც ვედების კომენტარებს წარმოადგნდნენ და „არანიაკები“ (ძვ. წ. VI საუკუნე) – „ტყის წიგნები“, რომლებიც ინდუისტი განდეგილებისთვის იყო განკუთვნილი. „ბრაჰმანების“ ტექსტებში გადმოცემულია როგორც ვედების ფილოსოფიური ინტერპრეტაცია, ასევე რიტუალების მისტიკური და სიმბოლური არსი. რაც შეეხება „არანიაკებს“, მათში აღწერილია მსხვეპლშეწირვის სულიერი, „შინაგანი“ პრაქტიკა, ასევე სხვადასხვა რიტუალების ინტერპრეტაცია და კოსმოგონიური ხასიათის სიუჟეტები.

„ვედების“ შემდეგ, ინდუიზმის ყველაზე მნიშვნელოვან ძეგლად შეიძლება ჩავთვალოთ „***უპანიშადები***“. ეს კრებული დიდი ხნის განმავლობაში იქმნებოდა და მისი ავტორები ჩვენთვის უცნობია. სიტყვა „უპანიშადები“ სიტყვა - სიტყვით ნიშნავს „ფერხთით მჯდომი“ და გამოხატავს განსაკუთრებულ ურთიერთობას გურუსა (სანსკ. მასწავლებელი, მოძღვარი) და მის მოწაფეს შორის. ინდოეთში ყოველთვის თვლიდნენ, რომ ჭეშმარიტი ცოდნის გადაცემა მისტიკურ პროცესს წარმოადგენს, რომელიც წარმოუდგენელია დამრიგებელთან პირადი კონტაქტის გარეშე. წმინდა წიგნების შესწავლა აუცილებლად გულისხმობდა მასწავლებლისა და მოსწავლის უშუალო ურთიერთობას. უპანიშადების ძირითადი დანიშნულებაა ვედების ფილოსოფიური და მისტიკური გააზრება. ის დიალოგის ფორმითაა გადმოცემული და როგორც უმრავლესობა ინდუისტური რელიგიური ძეგლებისა ძველ სანსკრიტზეა დაწერილი. დღემდე შემორჩენილია 200 - მდე უპანიშადი.

გარდა წმინდა რელიგიური წიგნებისა, ინდუიზმი აერთიანებს ისეთ ეპიკურ ქმნილებებს, როგორებიცაა „მაჰაბჰარატა“ (ხანდახან მეხუთე ვედასაც უწოდებენ) და „რამაიანა“. ამ ნაწარმოებებს ინდოელები წმინდა წიგნებად მიიჩნევენ. თითოეულ მათგანს ძველი ინდოეთის ცხოვრების ენციკლოპედია შეიძლება ვუწოდოთ. „მაჰაბჰარატაში“ ამბის თხრობას ხშირად თან სდევს რელიგიურ-ფილოსოფიურ და ეთიკურ ნორმებზე მსჯელობა და როგორც ორთოდოქსული, ასევე არაორთოდოქსული სკოლების აღწერა. ამ ნაწარმოების მთავარი სიუჟეტი გადმოგვცემს ორ სამეფო გვარს - პანდავებსა და კაურავებს შორის ბრძოლას. ნაწარმოების მთავარი იდეაა შერყეული დჰარმას (სანსკ. წმინდა კანონი) აღდგენა, რომლის ინიციატორადაც ძლევამოსილი ღმერთი - ვიშნუ გვევლინება. დჰარმას იდეას პანდავები განასახიერებენ, ხოლო ადჰარმას (სანსკ. დანაშაული, სიცრუე, ქაოსი) - კაურავები. მრავალწლიანი ომის შემდეგ, ღვთიური ძალების დახმარებით იმარჯვებენ პანდავები. გადამწყვეტი ბრძოლის წინ, სარდალი არჯუნა, პანდავების ერთ-ერთი ძმა ესაუბრება თავის მფარველ კრიშნას. ეს საუბარი გადმოცემულია „ბჰაგავატგიტაში“ („ღმერთის სიმღერა“), რომელიც მაჰაბჰარატას მე-6 წიგნს წარმოადგენს. „ბჰაგავატგიტას“ მიხედვით, გადამწყვეტი ბრძოლის წინ **არჯუნა**

ორმაგმა გრძნობამ შეიპყრო. ერთის მხრივ, მან უნდა შეასრულოს რაინდის ვალი და წინ წარუძღვეს ჯარს, ხოლო, მეორეს მხრივ მას არ უნდა დაღვაროს ყოფილი მეგობრების სისხლი. არჯუნა მზადაა შეწყვიტოს ომი, მაგრამ კრიშნა არწმუნებს მას იარაღის ხელში აღებასა და გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვებაში.

მეორე პოემა „რამაიანა“, რომლის ავტორად პოეტი ვალმიკი ითვლება, წარმოადგენს ერთიან, დასრულებულ ნაწარმოებს. ეს ნაწარმოები მოგვითხრობს მეფე დაშარატჰის უფროსი შვილის - რამას დრამატულ ისტორიას. მეფის ერთ-ერთი ცოლის სიძულვილის გამო რამა თავის უმცროს ძმასთან და მოსიყვარულე მეუღლე - სიტასთან ერთად იძულებულია დატოვოს მშობლიური სასახლე და ტყეს შეაფაროს თავი. დემონების მეფე, ბოროტი რავანა იტაცებს მზეთუნახავ სიტას და თავისთან მიჰყავს. გამძვინვარებული რამა სამხედრო კავშირს ამყარებს ღვთაებრივ მაიმუნთან - ხანუმანთან, კლავს რავანას, იბრუნებს მეუღლეს და დედაქალაქში დაბრუნების შემდეგ ხდება მეფე.

ინდუისტური რელიგიის ერთ-ერთ დიდ კრებულს წარმოადგენს „პურანები“. ძირითადად, ეს ტექსტები ვედების შემდგომდროინდელ პერიოდს განეკუთვნებიან. მათში მოთხრობილია სამყაროს ისტორია მისი გაჩენიდან განადგურებამდე, ასევე მეფეთა გენეალოგიები, გმირებისა და დევების ისტორიები. პურანებში გადმოცემულია ინდუისტური ფილოსოფია შედარებით მარტივ და გასაგებ ენაზე. დღევანდელ ინდოეთში სანსკრიტზე შექმნილი პურანები მრავალ ადგილობრივ ენაზეა თარგმნილი, რათა მრევლისთვის გასაგები გახდეს მათი შინაარსი.

სრული ინდუისტური რელიგიური ლიტერატურა ბევრად დიდი და მრავალფეროვანია, მხოლოდ მათი ჩამოთვლა და მოკლე დახასიათება დიდ ადგილს დაიკავებდა. ამიტომ დავკმაყოფილდით იმ ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი თხზულებებით, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

კოსმოსის წარმოშობისა და მოწყობის შესახებ ინდუიზმი სხვადასხვა ვერსიებს გვთავაზობს. როგორც ზემოთ ვთქვით, ეს იმითაა გამოწვეული, რომ ამ რელიგიას არ გააჩნია ერთიანი მწყობრი სისტემა. მიუხედავად ამისა, უმრავლესობა ინდუისტებისა

აღიარებს, რომ ღმერთმა - დემიურგმა[3] ბრაჰმამ სამყარო პირველადი მატერიის მეშვეობით შექმნა. ფიზიკური თვალსაზრისით, მას კვერცხის ფორმა აქვს და იყოფა 14 ნაწილად. დედამიწა ამ ნაწილთაგან ერთ - ერთია. სამყაროში, ინდუისტთა აზრით, დრო ციკლურია. ნებისმიერ მოვლენას ოდესღაც უკვე ჰქონდა ადგილი და მომავალშიც განმეორდება. კოსმიური დროის უმცირესს მონაკვეთს იუგა წარმოადგენს. ოთხი იუგა ქმნის ერთ მაჰაიუგას, რომელიც 4, 32 მილიონი წელი გრძლედება. ჩვენ ახლა ვიმყოფებით მაჰაიუგას უკანასკნელ კალი იუგაში, რომლის ბოლო ეტაპი დედამიწა სოციალური და ბუნებრივი კატასტოფებით, მორალის დაცემით, საზოგადოებრივი კლასების აღრევითა და რელიგიისა და ღმერთების უარყოფით დასრულდება. ამის შემდეგ, დაიწყება ახალიც ციკლი ოთხი იუგისა, რომელსაც, როგორც ზემოთ ვთქვით, მაჰაიუგა ეწოდება.

ათასი მაჰაიუგა ქმნის ერთ კალპას, რომელიც ღვთაება ბრაჰმას ცხოვრების ერთ დღეს წარმოადგენს და გრძელდება 4, 32 მილიარდი წელი. ყოველი ასეთი დღის ბოლოს სამყაროს შთანთქავს უნივერსალური სული და ბრაჰმას „ღამის“ განმავლობაში, რომელიც ასევე ერთი კალპა გრძელდება, მატერია იარსებებს მხოლოდ პოტენციურად. ახალი კალპას დასაწყისში ბრაჰმა აღდგება ლოტოსიდან, რომელიც ღვთაება ვიშნუს ჭიპიდან ამოიზრდება და სამყარო ხელახლა დაიწყებს არსებობას.

მთელ ამ მარად ცვალებად და განახლებად სამყაროში მხოლოდ ერთია უცვლელი და მარადიული არსი, უნივესალური სული, რომელსაც ბრაჰმანი ეწოდება. ყველაფერი დანარჩენი მის ემანაციას[4] წარმოადგენს. ბრაჰმანი არის აბსოლუტი, ერთი მთლიანი და დაუნაწევრებელი, რომელიც არ განიცდის ცვლილებებს. ის უპიროვნო და უსქესოა და სიკეთისა და ბოროტების მიღმა დგას.

ინდუიზმის მიხედვით, ღვთაებრიობა ბრაჰმანის უნივესალური სულის გაგრძლებას წარმოადგენს. როგორც ბრაჰმანი, ისიც უსაზღვროა, მთელ სამყაროშია განფენილი და მრავალფეროვან ფორმებში წარმოჩინდება. მიუხედავად იმისა, რომ ინდუისტურ

---

[3] დემიურგი - ანტიკურ ფილოსოფიაში (პლატონთან) პერსონიფიცირებული უშუალო შემოქმედებითი საწყისი სამყაროსი, რაც კოსმოსს მარადიული მატერიით ქმნის. შემოქმედი, მაორგანიზებელი ძალა. – (იხ. უნივერსალური ენციკლოპედია)

4 ემანაცია - რელიგიურ-ფილოსოფიური ტერმინი; აღნიშნავს ღვთაებრივი საწყისიდან სამყაროს მთელი მრავალფეროვნების გამოშლას, გამოსხივებას.

რელიგიაში ღმერთების სიმრავლეა, ყველა ისინი ერთიანნი არიან ბრაჰმანში და ერთიან ღვთაებრივ არსს წარმოადგენენ.

ინდუისტური სწავლებისთვის დამახასიათებელია სამების (სანს. ტრიმურტი) ღვთაებრივი აბსოლუტის ცნება, რომელიც სამ იპოსტასს[5] აერთიანებს: ბრაჰმას, ვიშნუს და შივას. ისინი ერთმანეთისგან მხოლოდ სამყაროს მიმართ მოქმედებითა და დამოკიდებულებით განსხვავდებიან. ბრაჰმა შემოქმედებითი საწყისია, სამყაროს შემქმნელია, იმ დროს როდესაც ვიშნუ კოსმოსის მცველია, ხოლო შივა განადგურებისა და ნგრევის ღვთაებაა.

შივას ქანდაკება

ბრაჰმანის კულტმა ინდოეთში დიდი პოპულარობა ვერ მოიპოვა, რაც შეიძლება იმითაა განპირობებული, რომ ის მეტად ზოგადი და აბსტრაქტულია, სამაგიეროდ, ძალიან პოპულარულია ვიშნუსა და შივას თაყვანისცემა. ამიტომ ჩამოყალიბდა ორი მიმდინარეობა, რომელთაც ვიშნუიზმი და შივაიზმი ეწოდება.

ვედურ ეპოქაში შივას ძალიან იშვიათად მოიხსენიებდნენ. მისი კულტის აღზევებას „მაჰაბჰარატას“ უნდა ვუმადლოდეთ. ამ ნაწარმოებში მოთხრობილია, თუ როგორ მოიპოვა ბრძოლით ღირსეულია ადგილი ღმერთების დასში. მოგვიანებით ის ღვთაებრივი ძლევამოსილების და ამავე დროს სისასტიკის სიმბოლოდ აღიარეს. როგორც სამყაროს გამანადგურებელი, იკონოგრაფიაში შივა წარმოდგენილია საშინელი გარეგნობით: კანი ლურჯი ფერისა აქვს, რომელსაც დაკლაკნილი გველები ახვევია, ხოლო ყელს ადამიანის თავის ქალებისგან დამზადებული ყელსაბამი უმშვენებს. ამასთანავე, შივას შემოქმედსაც უწოდებენ, რადგანაც ინდუიზმის მიხედვით განადგურება ახლის დაბადების საწყისი აქტია. ეს ღვთაება წარმოადგენს ეროსისა და სიკვდილის ერთიანობას. განსაკუთრებით საინტერესოა შივას ქალური საწყისის, შაქტის სახე. ის გვევლინება არა მარტო

---

5 იპოსტასი - 1.*ფილოს.* ინდივიდუალური, რეალურად არსებული რამ; არსი (ტერმინი შემოიღეს არისტოტელეს მიმდევრებმა). 2. ქრისტიანულ მოძღვრებაში; სამების თითოეული პირი (ქრისტიანული დოგმატის მიხედვით სამება შედგება სამი ი.-საგან: "მამისა", "ძისა" და "სულიწმინდისგან").

ვიშნუ

ნაყოფიერების სათნო ქალღმერთის - პარვატის ან განთიადის ღვთაების - უშას სახით, არამედ საკუთარი შვილების შთანმთქმელი კალის სახითაც. შივა - შაქტის ამგვარი გაორება შეიძლება ავხსნათ იმით, რომ ინდუიზმი არ ყოფს ბუნებასა და ღმერთს. როგორც ბუნებრივ სტიქიებს არ გააჩნიათ ცოდვა და სათნოება, ასევე შივა-შაქტი ეთიკის მიღმა დგას.

სხვაგვარი ხასიათისაა ***ღმერთი ვიშნუ.*** მიუხედავად იმისა, რომ ისიც ძველ ღვთაებებს განეკუთვნება, ვედებში ნაკლებად მოიხსენიება. როგორც ჩანს, საწყისს ეტაპზე ვიშნუ ჩრდილო ინდური ტომების მზის ღმერთს წარმოადგენდა. ინდუიზმში ის განასახიერებს სიკეთესა და თანაგრძნობას. ვიშნუ ეხმარება ადამიანს და იფარავს მას ბოროტებისგან. მისი კულტი თავისუფალია უკიდურესი ასკეტიზმისგან, რაც დამახასიათებელია შივაიზმისთვის. ვიშნუ სხვადასხვა გარდასახვით ევლინება დედამიწას, რათა ადამიანებს ანახოს სრულყოფილი ცხოვრების მაგალითები და იხსნას რწმენა დაცემისგან. ასეთ გარდასახვას ავატარები ეწოდება. არსებობს ვიშნუს ცხრა ავატარა, რომელთაგან მეშვიდეა რამა - „რამაიანას“ გმირი, მერვე - კრიშნა, ხოლო მეცხრე - ბუდაა. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, სწორედ მითებმა ვიშნუსა და მისი ავატარების შესახებ გახდა შესაძლებელი ადამიანების თვალში ამაღლებულიყო ინდუიზმი და გადაელახა ის კრიზისი, რომელსაც ეს რელიგია ძვ. წ. I ათასწლეულის ბოლოს ბუდიზმთან და ჯაინიზმთან ჭიდილში განიცდიდა.

ინდუისტურ რელიგიაში არსებობს რიგი ღმერთებისა, რომელთაც განსაკუთრებულ შემთხვევებში და განსაკუთრებული მიზნების მისაღწევად ეთაყვანებიან. ყველაზე პოპულარულია განეშა, შივას სპილოსთავიანი შვილი, რომლის გულისმოგება აუცილებელია ნებისმიერ საქმის დაწყებისას. ასევე თაყვანისცემის ობიექტია ხანუმანა, მაიმუნისთავიანი არსება. მიუხედავად იმისა, რომ ბრაჰმას თაყვანისმცემლები, როგორც უკვე ვთქვით, ნაკლებად ჰყავს, სამაგიეროდ ძალიან პოპულარულია მისი მეუღლის - სარვასატის კულტი, რომელიც მუსიკას, ცოდნასა და ხელოვნებას განასახიერებს.

ამასთანავე არსებობს უამრავი მეორეხარისხოვანი ღმერთები, რომელთა უმრავლესობა ადგილობრივ კულტებს წარმოადგენენ.

მიუხედავად იმისა, რომ ინდუიზმში უამრავი სექტა და მიმდინარეობაა, არსებობს ეთიკური პოსტულატები, რომლებიც ყველა ინდუისტისთვის მისაღებია. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანია დჰარმას პრინციპი.

რა არის დჰარმა? ინდუიზმის ფილოსოფიაში მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ სამყაროში მოვლენები ან საგანები არ წარმოადგენენ შემთხვევით და ქაოტურ ნაკრებს. კოსმოსი ერთი მთლიანობაა, რომელიც გარკვეულ წესრიგს ემორჩილება. სწორედ ამ საყოველთაო და მარადიულ წესრიგს, რომელიც სამყაროს ერთიანობას ინარჩუნებს დჰარმა ეწოდება. დჰარმა შეიძლება აღვწეროთ როგორც ნორმებისა და წესების ერთიანობა, რომელიც კოსმიური წესრიგის გარანტად გვევლინება. კონტექსტიდან გამომდინარე მას შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს - „ზნეობრივ ბურჯი“, „რელიგიურ მოვალეობა“, „ყოფიერების უნივერსალური კანონი“ და სხვა. ზნეობრიობასთან და სწორ ცხოვრების წესთან ერთად, ეს ცნება, ამავე დროს, აღნიშნავს მოვალეობას. დჰარმა მარადიული და უცვლელია. მის გარეშე სამყარო უბრალოდ ვერ იარსებებდა. ამავე დროს, ის კონკრეტულია. ყველაფერს, როგორც უსულოს, ასევე სულიერს საკუთარი დჰარმა გააჩნია. მაგ., ოქროს დჰარმა - ესაა ყვითელი ფერი და მბზინვარება, ვეფხვის დჰარმა მრისხანებასა და ხორცისმჭამელობაში იჩენს თავს, ხოლო თითოეულ ადამიანს საკუთარი დჰარმა გააჩნია. ეს დჰარმა გულისხმობს ღვთისმსახურებისა და წმინდა წიგნების პატივისცემას, სათნოებას, რელიგიური რიტუალების შესრულებას, ღმერთების თაყვანისცემას და სხვა. საზოგადოებრივი მდგომაროებიდან და კასტობრივი მიკუთვნებულობიდან გამომდინარე ყოველი მორწმუნე ვალდებულია ამ კატეგორიისადმი განკუთვნილი დჰარმა დაიცვას. კაცებს, ქალებს, მოხუცებს, ახალგაზრდებს, მმართველებსა და ქვეშევრდომებს სხვადასხვა დჰარმა გააჩნიათ. ბჰაგავატგიტას მიხედვით: „ჯობია ცუდად შეასრულო საკუთარი დჰარმა, ვიდრე სხვისი - კარგად“.

ისევე, როგორც დჰარმა, ინდუიზმის ერთ-ერთ ძირითად პოსტულატს სანსარა (დასავლურ მეცნიერებაში მას რეინკარნაციას უწოდებენ) წარმოადგენს. მეცნიერთა

აზრით სანსარა უნდა მომდინარეობდეს იმ იდეისგან, რომელსაც სიცოცხლის მარადიული წრებრუნვა ჰქვია. ინდუიზმში ადამიანის სულიერი და მატერიალური საწყისის განცალკავებამ ამ კანონზომიერ წრებრუნვას სულთა გადასახლების ფორმა შესძინა. ასე დაედო საფუძველი კონცეპციას, რომელსაც სულთა გარდასახვა ეწოდება. მისი არსი მდგომარობს იმაში, რომ სიკვდილი - ეს არ არის დასასრული და არც მარადიული ნეტარების მიღწევა. ის უბრალოდ არსებობის დროებითი წყვეტაა, რომლის შემდეგაც, ადრე თუ გვიან, ახალი სიცოცხლე იწყება. მარტივად რომ ვთქვათ გარდაცვლილი სხეულიდან სული სხვა სხეულში გადაინაცვლებს. მაგრამ რომელ კონკრეტულ მატერიალური ფორმას მიიღებს ეს სული აღწერილია კონცეპციაში, რომელსაც უპანიშადები გვაწვდიან.

ამ კონცეპციის მიხედვით, ყოველ არსებას გააჩნია საკუთარი კარმა. კარმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი ადამიანის ბოროტი და კეთილი საქმეები (მისი კარმა) განსაზღვრავს მომავალი დაბადების ფორმას. კარგი კარმა ბედნიერი დაბადების გარანტიაა (მომავალ ცხოვრებაში ადამიანი ერთი საფეხურით (ვარნა) მაღლა ადის), საშუალო კარმა მომავალ ცხოვრებაში ადამიანს იგივე მდგომარეობაში აყენებს, ვიდრე წინა ცხოვრებაში იყო; რაც შეეხება ცუდ კარმას, მომავალ ცხოვრებაში ადამიანი ან დაბალ საფეხურზე (ვარნა) ან საერთოდ ცხოველად გვევლინება. კარმის იდეა კარგად ხსნიდა სიკეთისა და ბოროტების პრობლემას - ყველაფერი დამოუკიდებელი იყო მხოლოდ საკუთარ თავზე. მთავარი აქ იყო ის, რომ შენი ტანჯვის მიზეზი ამ ცხოვრებაში უნდა ეძებო წინა ცხოვრების კარმაში - რაც დაიმსახურე ის მიიღე. კარმის ფილოსოფია აღმოჩნდა ინდოელთათვის ძლიერი ფსიქოლოგიური რეგულატორი როგორც ინდივიდუალურ, ასევე სოციალურ დონეზე. ის იყო მძლავრი სტიმული, რომელიც კარნახობდა მორწმუნეებს მაღალი ეთიკური სტანდარტების დაცვას, რაც გამოიხატებოდა ბუნებისადმი, ნებისმიერი ცოცხალი არსებისადმი ფრთხილი და მზრუნველი დამოკიდებულებით. ეს აიხსნება იმით, რომ თითოეულ ცოცხალ არსებაში შეიძლება ვიგულისხმოთ გარდასახული ადამიანი, ნათესავი, ახლობელი და სხვა. თუ სხვა ქვეყნებში ხშირი იყო უკმაყოფილება და გრანდიოზული სოციალური გამოსვლები, ინდოეთის ისტორიის მანძილზე ასეთ რამეს თითქმის ვერ ვხვდებით. სოციალური

სამართლიანობის ცნება ინდოეთში თითქმის არ არსებობს, სამაგიეროდ ყოველთვის აქტუალური იყო ინდივიდუალური გადარჩენისა და გათავისუფლების იდეა.

მოკშა (სანსკ. გათავისუფლება) - ამ სახელით აღინიშნება სანსარისგან (რეინკარნაცია) ანუ წყება დაბადებებისა და სიკვდილისგან გათავისუფლება. ინდუისტურ ფილოსოფიაში მოკშა განიხილება როგორც ამაღლებული, ტრანსცენდენტური მდგომარეობა აზროვნებისა, რომელშიც დრო, სივრცე და კარმა, ისევე როგორც ემპირიული რეალობის სხვა ელემენტები განიხილება როგორც ილუზია (სანსკ. მაია). გათავისუფლება გულისხმობს ეგოიზმის, ილუზორული ეგოს დაძლევასა და ინდივიდის ჭეშმარიტი, სიღრმისეული არსის შეცნობას. ინდუიზმის ერთ-ერთი სკოლის მიხედვით, მოკშა განიხილება როგორც ინდივიდუალური სულისა და ბრაჰმანის შერწყმა. მათთვის მოკშა წარმოადგენს უმაღლეს სრულყოფილებას. გათავისუფლების მთავარ ნიშანს წარმოადგენს იმის გათავისება, რომ ინდივიდუალური სული არასოდეს არსებობდა და რომ ეს მხოლოდ მაია ანუ ილუზია იყო.

სხვადასხვა ეპოქაში ინდუიზმი გვთავაზობდა მოქშას მიღწევის განსხვავებულ გზებს. მათგან შეიძლება გამოვყოთ სამი ყველაზე გავრცელებული:

1. *გზა ქმედებისა (სანსკ. კარმა - მარგა) - არის ყველაზე მარტივი მეთოდი, როდესაც ინდივიდი ხსნას საკუთრი მოქმედებისა და საქციელის საშუალებით აღწევს, თუმცა ეს მოქმედება და საქციელი უნდა შეესატყვისებოდეს მდგომარეობას, რომელიც კონკრეტულ ადამიანს ცხოვრებაში უკავია. აქ იგულისხმება საზოგადოების წევრთა კასტური მიკუთვნებულობა. ასეთი ცხოვრებას მივყავართ საკუთარი „მე“ - განუარის თქმასა და ბრაჰმანთან შერწყმამდე;*
2. *გზა სიყვარულისა (სანსკ. ბჰაკტი მარგა) - ღმერთის უსაზღვრო ერთგულების საშუალებით ამ გზას ხსნამდე მივყავართ. ამგვარი გრძნობა მორწმუნესა და ღმერთს ერთმანეთთან აახლოებს. ბჰაკტი მარგა ადამიანს საშუალებას აძლევს გააცნობიეროს ბრაჰმანისა და სამყაროს ერთიანობა;*

3. *გზა სიბრძნისა (სანსკ. ჯნიანა მარგა) - ეს გზა ყველაზე რთული და ყველაზე დახვეწილია წინა ორ გზასთან შედარებით. ის საჭიროებს სამყაროს უზენაესი ჭეშმარიტების - ბრაჰმანისა და ატმანის (სანს. ინდივიდუალური სული) ერთიანობის დანახვასა და შემეცნებას. ეს აქტი მიიღწევა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფიზიკური და სულიერი თავშეკავების საშულებით, რომელიც გულისხმობს ყველაფერი მიწიერისგან უარის თქმასა და ხანგრძლივ ასკეტურ და მედიტაციურ ვარჯიშებს.*

მნიშვნელოვანი ადგილი ამგვარ ვაჯიშებში უჭირავს იოგას. სიტყვა ***„იოგა“*** სანსკრიტზე ნიშნავს კავშირს ან დისციპლინას. იოგას მიმდევართა მიზანია იოგინი - პიროვნების შერწყმა ბრაჰმანთან, როგორც მისი შემეცნების საშუალება. იოგინის მომზადება ხდება გურუს[6] ხელმძღვანელობის ქვეშ. ამ პროცესში აუცილებელია ყველა იმ სათნოების დაცვა და უპირობოდ შესრულება, როგორიცაა არაძალადობა, სიმართლის თქმა, უბიწობის დაცვა, ასევე საკუთარი გრძნობითი აღქმის მართვა, მედიტაცია და სხვა. სხეულის მართვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია იოგას პრაქტიკაში. ამისათვის საჭიროა დაუსრულებელი ვარჯიში, რათა ადამიანმა შეძლოს ურთულესი პოზების შესრულება, სუნთქვის რეგულირება და სხვა.

6 გურუ (სანსკ.„მძიმე“) — ტიტული ინდუიზმში, რელიგიური მასწავლებელი, სულიერი მოძღვარი. გურუს მოვალეობაა, მას მინდობილ ადამიანს ჭეშმარიტების შეცნობაში დაეხმაროს და ღმერთთან დასაბრუნებელი გზა დაანახოს. ინდუისტური ლიტერატურა ხაზს უსვამს გურუს ყოლის აუცილებლობას სულიერი რეალიზების საქმეში და მის, როგორც ღმერთის, თაყვანისცემას. - ვიკიპედია.

ინდუისტური ტაძარი

მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთში უამრავი ტაძარია, ინდუისტებს მაინც ურჩევნიათ რელიგიური რიტუალების შესრულება განცალკევებით ან სახლში უახლოეს ნათესავების წრეში.

განსაკუთრებით გავრცელებულია რიტუალი, რომელსაც პუჯა - ღმერთის თაყვანისცემა ეწოდება. თითქმის ყველა ინდუისტის სახლში არის ღმერთების ხატი ან ქანდაკება, რომელთა წინაშეც კითხულობენ ლოცვებს, გალობენ და სწირავენ ძღვენს. ღარიბთა სახლებში პუჯა მოკრძალებულად მიმდინარეობს. გამთენიისას ოჯახის დედა კითხულობს ლოცვებს და რეკავს პატარა ზარს ღმერთების გამოსახულებების წინ, რომლებიც ოთახის კუთხეშია განთავსებული. მდიდართა სახლებში პუჯას შესრულებისას დახვეწილ კერძებსა და ლამაზ ყვავილებს სწირავენ ღმერთებს, ასევე ანთებენ არომატულ საკმეველს. ასეთ სახლებში სალოცავი ოთახი ცალკე არსებობს, რომელიც ოჯახის ტაძრად შეიძლება ჩავთვალოთ. განსხვავებული ინდუისტური კულტების მიმდევრები, საკუთარი მიკუთვნებულობის აღსანიშნავად შუბლზე ფერად ნიშნებს ისვამენ. მაგ., შივაიტები იხატავენ შუბლზე სამ თეთრ, ჰორიზონტალურ ხაზს, ხოლო ვიშნუს მიმდევრები - თეთრ ლათინურ V - ს, რომელიც წითელი ხაზითაა გაყოფილი.

ინდოელთა ცხოვრებაში მრავალი რელიგიური ცერემონიალი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებთანაა დაკავშირებული. ასეთებია, ბავშვის დაბადება, სრულწლოვანების მიღწევა, ქორწილი და სხვა. ასევე დიდ ყურადღებას უთმობენ დაკრძალვას. გარდაცვალების შემთხვევაში გვამს ყვავილებით ამკობემ და წვავენ, ხოლო ფერფლს რომელიმე წმინდად აღიარებულ მდინარეს, განსაკუთრებით, მდ. განგს ატანენ.

ინდუისტები წმინდად თვლიან როგორც მცენარეებს, ასევე ცხოველებს. განსაკუთრებით წმინდად ითვლებიან ბანიანის და პიპალის ხეები, რომლებიც ლეღვის ხის ნაირსახეობას

წარმოადგენენ. ასევე თაყვანს სცემენ მაიმუნს, რომელიც რამასთან ასოცირდება და გველს - განსაკუთრებით კობრას. გველი შივას კულტთანაა დაკავშირებული. თუმცა, განსაკუთრებული პატივისცემით ინდუიზმის მიმდევრები ხარს ეპყრობიან, რომელიც ასევე შივასთანაა კავშირში. ძროხა, ინდურ რელიგიაში ნაყოფიერებასა და მიწის სიმბოლოა, ამიტომ ისიც წმინდად ითვლება. ყველა, ზემოთ ჩამოთვლილი ცხოველების მოკვლა ან ჭამა აკრძალულია.

როგორც ვთქვით, ინდოეთში უამრავი ტაძარია, რომლებიც სხვადასხვა ღმერთების სახელზეა აგებული. განსაკუთრებით მრავლადაა **ვიშნუსა და შივასადმი მიძღვნილი ტაძრები**. ამ ტაძრებში, რელიგიური დღესასწაულების დროს ინდოეთის ყველა

კუთხიდან დიდი რაოდენობით მომლოცველი მოდის. ეს დღესასწაულები წლის სხვადასხვა პერიოდში ტარდება და არცერთი მათგანი არ ემთხვევა ერთმანეთს.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ წინამდებარე სტატიაში ძალიან მოკლედ მიმოვიხილეთ ინდუიზმი ძირითადი პრინციპები, რადგანაც ამ რელიგიაზე მეტ-ნაკლებად დეტალური საუბრისთვის სქელტანიანი წიგნი არ იქნებოდა საკმარისი.

1. სადაა გავრცელებული ინდუიზმი?
2. რა კარდინალური განსხვავებაა ინდუიზმსა და მსოფლიოს სხვა რელიგიებს შორის?
3. რას ეძახიან ინდოელები ინდუიზმს და რას ნიშნავს ეს სიტყვები?
4. რა ჰქვია ინდუიზმის პირველ ეტაპს და რა თავისებურებებით ხასიათდებოდა ის?
5. რა არის ბრაჰმანიზმი და რა თავისებურებებით ხასიათდებოდა ის?
6. რას წარმოადგენს მანუს კანონები და რას დაუდო მან საფუძველი?
7. რა გახდა ბრაჰმანიზმის დაღმასვლის მიზეზი ძვ.წ VI – V საუკუნეში?
8. დაახასიათეთ ვედები;
9. რას წარმოადგენენ „ბრაჰმანები“?
10. რას წარმოადგენენ უპანიშადები?
11. რა არის მაჰაბჰარატა და რამაიანა?
12. რა არის პურანები?
13. იმსჯელეთ ინდუიზმის კოსმოგონიის შესახებ;
14. რას წარმოადგენს ბრაჰმანი?
15. რა დამოკიდებულება არსებობს ტრიმურტის წევრებს შორის?
16. დაახასიათეთ შივა, რა თავისებურებებია მასში?
17. დაახასიათეთ ვიშნუ და ვიშნუიზმი;
18. იმსჯელეთ დჰარმას შესახებ;
19. რა არის სანსარა?
20. რა არის კარმა? რატომ არ იყო ინდოეთში სოციალური გამოსვლები?
21. .იმსჯელეთ მოკშას შესახებ?
22. იმსჯელეთ მოქშას მიღწევის სამ გზაზე;
23. რა არის იოგა?
24. იმსჯელეთ პუჯას შესახებ;
25. იმსჯელეთ, რამდენად მისაღებია თქვენთვის ინდუიზმი და რა არის მასში მიუღებელი?